ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის
სხდომის ოქმი
№2

ქ. ქუთაისი

16 მარტი 2015 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ნოდარ მიქიაშვილი	– ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე
ირაკლი ავალიანი	– ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.
მალხაზ ბასილაძე	– ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.
ირაკლი გიორგაძე	– ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით, ქალაქ ქუთაისში დავით აღმაშენებლის გამხირზე ფოლკლორის სასახლესთან, ფალიაშვილის ქუჩაზე ბავშვთა სამყაროსთან, დავით აღმაშენებლის გამხირისა და გ. ტაბიძის ქუჩის გადაკვეთაზე, ზ. გამსახურდიასა და გუგუნავას ქუჩების გადაკვეთაზე, წერეთლისა და მანდარიას ქუჩების გადაკვეთაზე, ირ. აბაშიძისა გამხირისა და შარტავას ქუჩის გადაკვეთაზე, ავტომშენებლისა და ბუკიას ქუჩების გადაკვეთზე, ნიკეას და ლომოურის ქუჩების გადაკვეთაზე შუქნიშნების მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საკონკურსო წინადადების თანხა 7000 (შვიდი ათასი) ლარი) შედგენასთან დაკავშირებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების განხილვის შესახებ. (საკონკურსო განცხადების №1521. 10.03.2015 წ.)

განხილვა: საკონკურსო კომისიის წევრმა ირაკლი ავალიანმა კომისიის წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა ერთმა კონკურსანტმა: შ.პ.ს. ,,სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი" – 6960 (ექვსი ათას ცხრაას სამოცი) ლარზე.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით საკონკურსო წინადადების და საკონკურსო ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 16 მარტის 12:30 საათამდე პერიოდით.

განიხილეს: შ.პ.ს. ,,სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი" -ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

ამის შემდეგ საკონკურსო კომისიამ შეაფასა კონკურსანტი 17,8 ქულით.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ: ნოდარ მიქიაშვილმა.
კომისიის წევრებმა: მალხაზ ბასილაძემ და ირაკლი გიორგაძემ.

დაადგინეს:

1. საკონკურსო კომისიის შეფასებიდან გამომდინარე ქალაქ ქუთაისში დავით აღმაშენებლის გამზირზე ფოლკლორის სასახლესთან, ფალიაშვილის ქუჩაზე ბავშვთა სამყაროსთან, დავით აღმაშენებლის გამზირისა და გ. ტაბიძის ქუჩის გადაკვეთაზე, ზ. გამსახურდიასა და გუგუნავას ქუჩების გადაკვეთაზე, წერეთლისა და მანდარიას ქუჩების გადაკვეთაზე, ირ. აბაშიძისა გამზირისა და შარტავას ქუჩის გადაკვეთაზე, ავტომშენებლისა და ბუკიას ქუჩების გადაკვეთზე, ნიკეას და ლომოურის ქუჩების გადაკვეთაზე შუქნიშნების მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებით სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს. ,,სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი".

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების (მალხაზ ბასილაძე) სამსახურმა გამოყოს სათანადო უფლებამოსილი პირები და უზრუნველყოს „შემსყიდველსა" და „მიმოწოდებელს" შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება–ჩაბარება დადგენილი წესის მიხედვით.

3. საკონკურსო კომისიამ კანონით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს გამარჯვებული ორგანიზაციის მოწვევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დასადებად.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ნოდარ მიქიაშვილი

კომისიის წევრები:

ირაკლი ავალიანი

მალხაზ ბასილაძე

ირაკლი გიორგაძე